ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5238773

ნომერი: AR1796288

თარიღი : 24.12.2020

გაცემის თარიღი : 25.12.2020

გაცნობის თარიღი : 25.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ჩარკვიანი პ/ნ 60001139947
- თბილისი გუმათჰესის ქ. N 10 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის

კორექტირებული პროექტი, რომლითაც დადგინდა მიწათსარგებლობის ზონები (ქვეზონები), დაზუსტდა ცალკეული გეგმარებითი ერთეულები, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლები, შენობების განთავსება, მათ გეგმარებით პარამეტრები; თანახმად შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმისა #81.02.19.546 მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განსაზღვრულია საბავშვო ბაღის ფუნქციით მშენებლობაზე.

აქვე გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე კონტეინერის განთავსება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 24 დეკემბრის №AR1796288 განაცხადი ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.